რას ნიშნავს საშინაო კარანტინი?

თუ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი დაინფიცირდებით კორონას ვირუსით, თქვენც და თქვენი ოჯახიც მოექცევით კარანტინში. ეს ნიშნავს, რომ თქვენ არ უნდა დატოვოთ თქვენი ბინა/ოთახი (იმ შემთხვევაში თუ თქვენ საკუთარი აბაზანა და საპირფარეშო გაქვთ) მინიმუმ 14 დღის განმავლობაში. ეს ძალიან რთული მდგომარეობაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კარანტინი ბავშვებსაც ეხებათ. მნიშვნელოვანია, რომ შეინარჩუნოთ სიმშვიდე და დაუკავშირდეთ ნათესავებსა და მეგობრებს ტელეფონით.
თუ თქვენს საცხოვრებელში ვინმე დაინფიცირდა, შესაძლებელია, რომ საერთო საცხოვრებელი მთლიანად ან მისი ნაწილი მოექცეს კარანტინში. ამ შემთხვევაში სხვა მაცხოვრებლებთან ერთად შეგიძლიათ მოიფიქროთ, თუ რა მოთხოვნები გექნებათ საერთო საცხოვრებლის მმართველთან. მაგალითად, შეგიძლიათ მოითხოვოთ უფასო WiFi. კარანტინის შემთხვევაში შეგიძლიათ ასევე საკვების მოწოდების საკითხებიც განიხილოთ